



გალტ & თამარიძე

გეგმვითი მენეჯერული კონსალტინგის



ელექტროენერგიის ბაზარი საქართველოში - მარტი 2026

20 აპრილი 2026



მარიამ ჩახვაშვილი

სექტორის უფროსი | mchakhvashvili@gt.ge

დამი მუჯირიშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | dmujirishvili@gt.ge



ძირითადი ტენდენციები

მარტი 2026

თურქეთი წელს უკვე მეორედ გამოჩნდა იმპორტიორთა სიაში

2026 წლის მარტში ადგილობრივი ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად 4.3%-ით გაიზარდა და 1.3 ტვტ.სთ შეადგინა. ამავე დროს, ჰიდროგენერაცია 8.6%-ით შემცირდა, რაც მეტწილად ჰიდროლოგიურ პირობებს უკავშირდება. შედეგად, თბოგენერაციისა და იმპორტის ერთობლივი წილი გაიზარდა 34%-დან (მარტი-25) 42%-მდე (მარტი-26), რაც სისტემის გაზრდილ იმპორტ-დამოკიდებულებას და ახალი გენერაციის წყაროების საჭიროებაზე მიუთითებს. ამასთან, თურქეთი განმეორებით გამოჩნდა ტოპ იმპორტიორთა შორის, რაც ჩვენი აზრით იმპორტში გაზრდილ კონკურენციასა და შესაძლო სტრუქტურულ ცვლილებაზე მიუთითებს.

2026 წლის პირველი კვარტალი

იმპორტისა და თბოგენერაციის მაღალი წილი ახალი გენერაციის დაჩქარებული განვითარების საჭიროებას კვლავ აჩვენებს

2026 წლის პირველ კვარტალში ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად 8.0%-ით გაიზარდა, რაც, ჩვენი შეფასებით, განსაკუთრებით ცივ ზამთარს და იანვარ-თებერვალში მონაცემთა დამუშავებისა და ფეროშენადნობების სექტორების გააქტიურებას უკავშირდება.

2026 წლის პირველ კვარტალში გაიზარდა ჰიდროგენერაციაც, რაც ძირითადად ენგურ-ვარდნილის გამომუშავების 70.4%-იანი ზრდით აიხსნება, თუმცა ეს მეტწილად დაბალი საბაზო ეფექტის შედეგია.

მიუხედავად ახალი სიმძლავრეების დამატებისა, ქარისა და ახალი მზის სადგურების წილი ჯამურ მიწოდებაში კვლავ მცირეა და მხოლოდ 0.7%-ს შეადგენს.

შედეგად, 2026 წლის პირველ კვარტალში მოხმარების ნახევარზე მეტი კვლავ თბოგენერაციითა და იმპორტით დაკმაყოფილდა (51.2% 1Q26-ში, 51.3% 1Q25-ში). მიუხედავად იმისა, რომ იანვარსა და მარტში ეს მაჩვენებელი წლიურად გაუარესდა, კვარტალის ქრილში ქვეყნის იმპორტდამოკიდებულება არსებითად არ შეცვლილა.

ცხრილი 1: ელექტროენერგიის ბალანსი, მარტი 2026

ბალანსი	ტვტ.სთ	წლიური ზრდა	წილი საერთო მოცულობაში
მოთხოვნა	1.3	+4.2%	100%
ადგილობრივი მოხმარება	1.3	+4.3%	96%
ექსპორტი	0.005	-27.1%	0.4%
დანაკარგი	0.04	+7.0%	3.3%
მიწოდება	1.3	+4.2%	100%
ადგილობრივი გენერაცია	1.1	+7.5%	83%
იმპორტი	0.2	-9.0%	17%

წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

ცხრილი 2: ელექტროენერგიის ბალანსი, 1Q26

ბალანსი	ტვტ.სთ	წლიური ზრდა	წილი საერთო მოცულობაში
მოთხოვნა	4.1	+8.1%	100%
ადგილობრივი მოხმარება	3.9	+8.0%	96%
ექსპორტი	0.011	-27.1%	0.3%
დანაკარგი	0.13	+7.3%	3.3%
მიწოდება	4.1	+8.1%	100%
ჰიდრო, ქარი, მზე	2.0	+8.2%	49%
თბოგენერაცია	1.0	+5.0%	25%
იმპორტი	1.1	+11.1%	26%


წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი



ელექტროენერგიის მოხმარება: მოხმარების ზრდა საცალო სეგმენტმა და აფხაზეთმა განაპირობა

ადგილობრივი მოხმარება მარტში 1.3 ტვტ.სთ იყო, რაც წლიურად 4.3%-იანი ზრდაა. ამ ზრდას საცალო მომხმარებლები (+8.7% წ/წ) და აფხაზეთი (+9.4% წ/წ) განაპირობებდა. პირდაპირი მომხმარებლების კატეგორიაში კლება დაფიქსირდა (-11.0% წ/წ), რაც ძირითადად უკავშირდებოდა მონაცემთა ანალიზის/დატა ცენტრების კომპანიების მოხმარების შენელებას.

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარების პროფილი მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & ტაგარტი

შენიშვნა 1: საცალო მოხმარება მოიცავს ეპ ჯორჯია მიწოდების, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმიკოს და თელასის მოხმარებას.

შენიშვნა 2: პირდაპირ მომხმარებელად სავალდებულო რეგისტრაციის კრიტერიუმი ამჟამად შეადგენს თვეში 0.4 გვტ.სთ მოხმარებას. კრიტერიუმის გადახედვა დაგეგმილია 2026 წლის ივლისში.



ელექტროენერგიის გენერაცია: ჰიდროგენერაციის კლება და გაზრდილი მოხმარება ძირითადად თბოგენერაციით დაბალანსდა

ჰიდროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, 2026 წლის მარტში ჰიდროგენერაცია წლიურად 8.6%-ით შემცირდა, მიუხედავად ენგურ-ვარდნილის გენერაციის მაღალი ზრდისა (+49.0% წ/წ - დაბალი ბაზის ეფექტი).


ქარისა და ახალი მზის სადგურების წილი 2026 წლის მარტში 1.2%-მდე გაიზარდა (vs 0.6% 2025 წლის მარტში), რაც ახალი სიმძლავრეების ეტაპობრივ დამატებას ასახავს; მათ შორის, მარტში ტესტირების რეჟიმში გაეშვა "ზემო ქარის სადგური" (18.7 მგვტ).

შედეგად, თბოგენერაციისა და იმპორტის ერთობლივი წილი გაიზარდა 34%-დან (მარტი-25) 42%-მდე (მარტი-26), რაც სისტემის გაზრდილ იმპორტდამოკიდებულებას და ახალი გენერაციის წყაროების საჭიროებაზე მიუთითებს.

ჩვენი შეფასებით, იმპორტსა და თბოგენერაციას შორის არჩევანი ფასმა და ტექნიკურმა საჭიროებამ განსაზღვრა:

კომერციული იმპორტის ფასი თურქეთიდან 4.6 აშშ ცენტი/კვტ.სთ იყო, აზერბაიჯანიდან - 6.0 აშშ ცენტი/კვტ.სთ; შედარებისთვის, გარდაბანი 1-ის ფასი 4.3 აშშ ცენტი იყო, ხოლო გარდაბანი 2-ის - დაახლოებით 5.5 აშშ ცენტი/კვტ.სთ. ამასთან, თბოსადგურების - ჯი-ფაუერისა და მტკვარი ენერჯის ფასი შედარებით მაღალი (შესაბამისად, 6.2 და 6.4 აშშ ცენტი/კვტ.სთ) იყო, რის გამოც ეს სადგურები მხოლოდ შეზღუდული მოცულობით, მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ტექნიკური საჭიროებიდან გამომდინარე მუშაობდნენ.

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ





ელექტროენერგიის იმპორტი: თურქეთი წელს უკვე მეორედ მოხვდა იმპორტის ტოპ მომწოდებლებს შორის, რაც გაზრდილ კონკურენციას და შესაძლო სტრუქტურულ ცვლილებებზე მიანიშნებს


2026 წლის მარტში ელექტროენერგიის იმპორტი წლიურად 9.0%-ით შემცირდა და 0.2 ტვტ.სთ შეადგინა. თუმცა, აფხაზეთის რეგიონისთვის განკუთვნილი შეღავათიანი იმპორტის გამოკლებით, კომერციული იმპორტი გაორმაგდა (+118.9% წ/წ). შედეგად, იმპორტის ჯამური ღირებულება 30.9%-ით გაიზარდა და 5.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ჩვენი შეფასებით, იმპორტის გეოგრაფია მარტში განისაზღვრა როგორც ფასობრივი, ისე ტექნიკური ფაქტორების ერთობლიობით.

რაოდენობრივად რუსეთი უმსხვილესი მომწოდებელი იყო, თუმცა აფხაზეთისთვის განხორციელებული შეღავათიანი მიწოდების გამო, ღირებულებით მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა.


თურქეთი მარტში ერთ-ერთი მთავარი მომწოდებელი იყო, რაც აზერბაიჯანთან შედარებით დაბალი ფასით აიხსნება (კვტ.სთ-ზე 4.6 აშშ ცენტი თურქეთიდან vs 6.0 აშშ ცენტი აზერბაიჯანიდან). ჩვენი აზრით, თურქეთის განმეორებით გამოჩენა ტოპ იმპორტის წყაროებს შორის მიუთითებს გაზრდილ კონკურენციას და შესაძლოა, იმპორტის სტრუქტურის ეტაპობრივ ცვლილებაზეც.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის იმპორტი, ტვტ.სთ - მარტი 2026




წყარო: ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 4: ელექტროენერგიის იმპორტი დანიშნულების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 5: ელექტროენერგიის იმპორტის ღირებულება, აშშ დოლარი - მარტი 2026



წყარო: ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი




საბალანსო ბაზარი და ფასები

საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო ფასი მარტში წლიურად 5.7%-ით შემცირდა და კვტ.სთ-ზე 5.7 აშშ ცენტი შეადგინა.

ამასთან, საბალანსო მოცულობა 14.8%-ით გაიზარდა და 0.4 ტვტ.სთ იყო, რაც ჯამური მიწოდების 33.4%-ს შეადგენს.

გრაფიკი 6: საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა (ტვტ.სთ) და ფასი (აშშ ცენტი/კვტ.სთ)



წყარო: სემევი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი



ელექტროენერგიის ბალანსი, ტვტ.სთ

	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026F
ადგილობრივი მოხმარება, ჯამური	12,136	13,730	14,165	13,053	13,834	14,317	14,978
% ცვლილება წ/წ	-4.9%	13.1%	3.2%	-7.9%	6.0%	3.5%	4.6%
საიდანაც:							
აფხაზეთის რეგიონი	2,552	2,956	3,029	2,703	2,553	2,486	2,642
% ცვლილება წ/წ	23.9%	15.8%	2.5%	-10.8%	-5.6%	-2.6%	6.3%
პირდაპირი მოხმარებლები	2,438	3,554	3,726	2,779	3,142	3,430	3,765
% ცვლილება წ/წ	-14.9%	45.8%	4.8%	-25.4%	13.1%	9.2%	9.8%
საცალო ბაზრის მოხმარება	7,146	7,219	7,411	7,572	8,139	8,401	8,571
% ცვლილება წ/წ	-8.8%	1.0%	2.7%	2.2%	7.5%	3.2%	2.0%
ადგილობრივი გენერაცია, ჯამური	11,160	12,645	14,247	14,396	14,234	13,838	14,522
% ცვლილება წ/წ	-5.9%	13.3%	12.7%	1.0%	-1.1%	-2.8%	4.9%
საიდანაც:							
თბოსადგურები	2,821	2,380	3,388	3,446	2,812	2,767	2,696
% ცვლილება წ/წ	-0.7%	-15.6%	42.4%	1.7%	-18.4%	-1.6%	-2.6%
ქარის და მზის სადგურები	91	83	87	86	78	84	104
% ცვლილება წ/წ	7.3%	-8.2%	5.0%	-1.6%	-9.9%	8.3%	24.2%
ჰიდროსადგურები	8,248	10,182	10,771	10,863	11,344	10,987	11,721
% ცვლილება წ/წ	-7.7%	23.4%	5.8%	0.9%	4.4%	-3.2%	6.7%
საგარეო ვაჭრობა							
იმპორტი	1,610	2,006	1,533	790	1,228	1,558	1,975
% ცვლილება წ/წ	-1.0%	24.6%	-23.6%	-48.5%	55.4%	26.9%	26.8%
ექსპორტი	154	391	971	1,468	1,047	511	875
% ცვლილება წ/წ	-36.8%	154.2%	148.4%	51.2%	-28.7%	-51.2%	71.2%
სავაჭრო ბალანსი	-1,456	-1,615	-562	679	-180	-1,046	-1,100
% ცვლილება წ/წ	5.3%	10.9%	-65.2%	-220.7%	-126.5%	480.8%	5.2%
ტრანზიტი	204	1,135	2,933	3,444	1,074	665	
% ცვლილება წ/წ	-25.2%	457.8%	158.3%	17.4%	-68.8%	-38.1%	

წყარო: სემეკი, ესკო, მაცნე, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: 2026F მონაცემები დაფუძნებულია ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ 2025 წლის საპროგნოზო წლიურ ბალანსზე

ელექტროენერგიის ფასი, აშშ ცენტის/კვტ.სთ

	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026F
საბალანსო ფასი, გასაყიდი	5.0	4.9	5.5	5.3	5.6	5.8	5.9
% ცვლილება წ/წ	8.1%	-5.9%	17.0%	-6.2%	5.9%	4.1%	0.8%
იმპორტის საშუალო ფასი	4.0	2.4	2.7	0.1	1.9	3.1	3.5
% ცვლილება წ/წ	-17.0%	-40.4%	14.1%	-95.1%	1328.9%	60.4%	14.0%
ექსპორტის საშუალო ფასი	3.8	4.0	8.7	6.5	4.7	4.6	4.8
% ცვლილება წ/წ	8.1%	-5.9%	17.0%	-6.2%	-27.9%	-2.0%	3.4%

წყარო: სემეკი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის ან დოკუმენტის არსებითი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაცვა ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ბულისაგან გამომდინარე კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერ მიღებული სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არსებითი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებაში უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge